

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია უკანასკნელ პერიოდში სასამართლოზე განხორციელებული ზეწოლის შემთხვევები, რასაც ხელს უწყობს სასამართლო პროცესის საქვეყნობის სამართლებრივი რეგულირების არსებული წესი.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცება, ეფექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამართლიანი სასამართლოს უფლება - ეს „ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლით აღიარებული უფლებაა, რომლის თანახმად სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდებების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე დროის გარკვეულ ვადაში, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ. სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და რომელიც წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელებისა და სამართლიანობის გარანტს. ეს არის ორგანო, რომელიც საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი გარეშე ფაქტორებისა და სუბიექტური მომენტებისაგან და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად. სწორედ ამიტომ საქართველოს კონსტიტუცია, განამტკიცებს რა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს, აღნიშნული პრინციპის უზრუნველსაყოფად ადგენს, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.“.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილულმა საქმეებმა ცხადყო, რომ ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული პრინციპების სრულყოფილად რეალიზება. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს საქმიანობაზე გავლენა არ მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა, იგი გადაიქცა პოლიტიკური ვნებათაღელვების გამოვლენის ასპარეზად, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლო პროცესის საქვეყნობის პრინციპის სრულყოფილად რეალიზების მიზნით, განსაზღვრავს სასამართლო სხდომაზე სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესს. აღნიშნული, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სასამართლო პროცესზე განვითარებული მოვლენების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობას, მაგრამ მეორე მხრივ, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სხდომის დარბაზში ტელეკამერების ყოფნა ხელს უწყობს

პროცესის ანგაჟირებას და მხარეთა მიერ შეგნებული პროვოკაციების მოწყობას. ასეთ ვითარებაში სასამართლო საქმის განხილვა სცილდება სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ჩარჩოებს და მტკიცებულებათა წარდგენისა და განხილვის ნაცვლად დატვირთულია ემოციური განცხადებებითა და გამოსვლებით, რაც არ უწყობს ხელს საქმის სრულყოფილ და ობიექტურ განხილვას და ფსიქოლოგიურ ზემოქმედების ახდენს მოსამართლეზე. გარდა სასამართლოზე ზემოქმედებისა, აღნიშნული მიმართულია მცდარი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისაკენ. სწორედ საზოგადოებრივი აზრის წინასწარ, ანუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ფორმირება, წარმოადგენს სასამართლოზე პირდაპირი ფსიქოლოგიური ზემოქმედების კიდევ ერთ მაგალითს. ამასთან, მასმედიის საშუალებების მეშვეობით კეთდება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული განცხადებები და კომენტარები, ხოლო ასეთი ფორმით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რაც ხშირ შემთხვევაში შეუსაბამოა სამართლებრივ რეგლამენტაციასთან და მიზნად ისახავს სასამართლოს დისკრედიტაციას. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ხშირად, საქმესთან დაკავშირებით, ვრცელდება არასრულყოფილი ან კიდევ მცდარი ინფორმაცია, რაც იწვევს იმის აუცილებლობას, რომ სასამართლოს მიერ გაკეთდეს კომენტარი კონკრეტულ საქმეზე და საზოგადოებას მიეწოდოს სწორი მონაცემები და ერთგვარად აეხსნას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორე. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მხარის სურვილი, მიღებულ იქნეს მისთვის მისაღები გადაწყვეტილება, უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საშუალებებითა და ფორმებით და არა სასამართლოზე ზეწოლის განხორციელებით. მაგ., ამერიკის ზოგიერთ შტატში, კანადასა და ავსტრალიაში მკაცრად რეკომენდირებული, რომ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ წინასწარ, პროცესის დაწყებამდე გააკეთონ ინფორმაცია ჟურნალისტებისთვის ან გამართონ ბრიფინგი, წინასწარ გააკეთონ განცხადება პროცესის მიმდინარეობის, განვითარების ან ამა თუ იმ შედეგით დასრულების შესახებ. კატეგორიულად აკრძალულია სასამართლოს შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზში ინტერვიუს მიცემა.

სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და საჯაროობის პრინციპის ურთიერთმიმართების საკითხს ეხება „ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლი, რომელიც აცხადებს, რომ მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრებოდეს მთელ სასამართლო პროცესს ან მის ნაწილს, რათა პროცესის საჯაროობამ ზიანი არ მიაყენოს სასამართლოს განაჩენს. სწორედ საქვეყნოობისა და კანონიერების პრინციპების გათვალისწინებით საჭიროა შემუშავდეს იმგვარი საკანონმდებლო რეგულაცია, რაც სასამართლო განხილვის საჯაროობასთან ერთად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას, ასევე განსახილველ საქმეზე სწორი სამართლებრივი შეფასებების გაკეთებას. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს შენობაში, ასევე სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა დაუშვებელია. სასამართლოს პრეს-სამსახურს ენიჭება უფლებამოსილება გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის აუდიო და ვიდეო მასალები. აღნიშნულით არ იზღუდება სასამართლო პროცესის საქვეყნოობის პრინციპი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის მასმედიის წარმომადგენლებს, თავისუფლად შეუძლია დაესწროს სასამართლო პროცესს. ჟურნალისტებს შეეძლებათ გააკეთონ

ჩანაწერები და გაახმოვანონ პროცესზე მომხდარი მოვლენები, გაესაუბრონ რესპოდენტებს და ა.შ. სასამართლო პროცესის გაშუქების შემოთავაზებულ წესს იცნობს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიისათვის ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი მოხელე, რომელსაც ზოგიერთ შტატში ეწოდება საინფორმაციო საშუალებებთან კოორდინატორი. კანადაში, მხარეთა უფლებების დაცვის, სასამართლოს ღირსების დაცვის, პროცესის შეუფერხებელი ჩატარების ან პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მიზნით აკრძალულია სასამართლო განხილვის მიმდინარეობის ჩაწერა ან გაშუქება.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი**

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.